საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №54

2016 წლის 14 ივლისი,
ქ. ბათუმი

**ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, 33-35-ე მუხლები , ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, და სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის" მე-3 მუხლის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

**დაა დ გ ი ნა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, **კლინიკური ქირურგიის დარგობრივ დეპარტამენტში ქირურგიის მიმართულებით პროფესორის აკადემიური თანამდებობის 2016 წლის 12 სექტემბრიდან დასაკავებლად.**
2. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2016 წლის 22 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით, 15–დან 17 საათამდე;

ბ) კონკურსი ჩატარდეს 2016 წლის 29 აგვისტოდან 02 სექტემბრის ჩათვლით;

გ) კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2016 წლის 6 სექტემბრისა;

**დ) კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2016 წლის 12 სექტემბრიდან.**

3. მოწონებულ და დამტკიცებული იქნეს კონკურსანტის განცხადების (**დანართიN1**), ანკეტის (**დანართიN2**), განცხადებისა და საჩივრის მიღების შესახებ ცნობების (**დანართიN3, N4**), კონკურსის მონაწილეთა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალების (**დანართიN5, N6**) ფორმები;
4. ინფორმაცია (**დანართიN7**) კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე, უნივერსიტეტის კანცელარიის და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე.
5. დამტკიცდეს საპროცედურო კომისიის შემადგენლობა **N8 დანართის** შესაბამისად.

6. საპროცედურო კომისიის მუშაობის პერიოდი განისაზღვროს 2016 წლის 22 აგვისტოდან 2016 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი გურამ ჩაგანავა